განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება
ბიზნესის ადმინისტრირება

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
საქართველოს უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
2018 წლის 12-13 ივლისი

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი

2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საქართველოს უნივერსიტეტი შპს
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205037137
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური	7 EQF
მისანიჭებული კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი 02
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	N668, 2012 წლის 20 ნოემბერი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	დოქტორი ჰაინც-ულრიხ შმიდტი საერთაშორისო ბიზნესის ადმინისტრირების აკრედიტაციის ფონდი (FIBAA), ბონი, გერმანია
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	სოფიო ხუნდაძე, დოქტორი ფინანსების ასოცირებული პროფესორი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ანა მიხელიძე სტუდენტი, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის დასკვნის შეჯამება

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

  თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის ძირითადი მიზანია მაღალ-კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადების უზრუნველყოფა თანამედროვე უნარებით, მულტიდისციპლინური თეორიული ცოდნით, კრეატიული და პრაქტიკული უნარებით ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში, რომლებიც გაიგებენ ბიზნესის საქმიანობის სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობას, ბიზნესის სტრატეგიულ დაგეგმვას და განხორციელებას ეთიკის ნორმების დაცვით, რათა წვლილი შეიტანონ დარგის განვითარებაში.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მოკლე მიმოხილვა**

  აკრედიტაციის ვიზიტი იყო კარგად ორგანიზებული. ექსპერტთა ჯგუფისათვის შექმნილი პირობები შეესაბამებოდა სამუშაოს და შეფასების პროცესის ნორმალურ ვითარებაში წარმართვის შესაძლებლობას იძლეოდა. ვიზიტი იყო ნაყოფიერი და ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროგრამის შეფასებისათვის აუცილებელი ცოდნის გაღრმავებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

  სტანდარტის შეუსაბამობასთან დაკავშირებული ვერავითარი საკითხი ვერ იქნა იდენტიფიცირებული. ამგვარად, პროგრამა შეესაბამება ყველა განსაზღვრულ სტანდარტს. მხოლოდ მე-2 სტანდარტი შეფასდა როგორც ნაწილობრივ შესაბამისი მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციების შეჯამება**

ჩამოყალიბდა შემდეგი რეკომენდაციები:

- სტუდენტთა მისაღები ინტერვიუ ფოკუსირებული უნდა იყოს მსგავსი აკადემიური გამოცდილების მქონე სტუდენტთა ჩარიცხვის უზრუნველყოფაზე.
- განიხილეთ რამდენიმე კურსის თანმიმდევრობის შეცვლის საკითხი (იხ. ქვემოთ თავი 2.2).
- უზრუნველყავით, რომ საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათების შეფარდება თითოეულ კურსში იყოს ჯეროვანი.

- გადახედეთ სწავლების გამოყენებული მეთოდების შესაბამისობას სწავლის გათვალისწინებულ შედეგებთან მიმართებაში.
- განიხილეთ სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის გამდიდრების საკითხი (იხ. წვემოთ თავი 2.3).
- მოახდინეთ სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის გამოხმაურებების ფორმალიზება.

- **რჩევების შეჯამება**

ჩამოყალიბებდა შემდეგი რჩევები:

- შრომითი ბაზრის მოთხოვნების მონიტორინგი უნდა გახდეს ფორმალიზებული და რეგულარული
- პროგრამის მიღების წინაპირობების შესახებ ინფორმაციის განახლება ვებ-ვერდზე უნდა გადაიხედოს ისე, რომ იგი შეესაბამებოდეს პროგრამაზე მიღების მოთხოვნებს.
- პროგრამის განვითარებაში უნდა ჩაერთოს სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობა

- **საუკეთესო პრაქტიკის მიმოხილვა:** არ ეხება
- **აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევებისა ან/და პროგრესის მიმოხილვა:** არ ეხება

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი. ისინი ასევე ასახავს, თუ რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის მიზნები განსაზღვრულია თვითშეფასების ანგარიშში ზოგად დონეზე, რაც გამოიყურება მისაღებად. ისინი განსაზღვრავენ იმ ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების კომპლექტს, რომლებსაც პროგრამის კურსდამთავრებულები უნდა ფლობდნენ. მიზნები მიღწევადია და გამოხატავს ინსტიტუციის მისიას, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის ბმა საკმაოდ ზოგადია. შრომის ბაზრის მოთხოვნების ასახვა გამოხატულია ზოგადი კვლევის საფუძველზე, თუმცა რაიმე მკაფიო მტკიცებულების გარეშე. პროგრამის საკვალიფიკაციო მოთხოვნები ახსნილია და დამაჯერებლადაა წარმოდგენილი მიზნობრივ ჯგუფებთან, მიზნობრივ პროფესიულ სექტორთან და საზოგადოებრივ კონტექსტთან მიმართებაში. ისინი ითვალისწინებენ აკადემიურ გამოცდილებას და სრულფასოვან დასაქმებას. ისინი ითვალისწინებენ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და გარკვეუწილად შრომის ბაზრის მოთხოვნებს. საკვალიფიკაციო მოთხოვნები დეტალურადაა გაწერილი, გამოქვეყნებული და ხელმისაწვდომი. ისინი მუდმივად მოწმდებიან ადეკვატურობასა და სიახლეზე და ადაპტირდებიან შესაბამისად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში o ინტერვიუს შედეგები (ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების გუნდთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან);
რეკომენდაციები: არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: o გახადეთ ფორმალური და აწარმოეთ შრომის ბაზრის მოთხოვნების მონიტორინგი რეგულარულად.
საუკეთესო პრაქტიკა: არ ეხება
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში o არ ეხება

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბ

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არარის შესაბა

1.2. პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომელსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების საფეხური შედგება მონაცემთა განსაზღვრის, შეგროვებისა და ანალიზისგან;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

გათვალისწინებული სწავლის შედეგები დეტალურადაა აღწერილია სილაბუსებში ბლუმის ტაქსონომიის შესაბამისად; სწავლის ბევრი შედეგი ბმაშია შვიდი საფეხურიდან თითოეულთან. მიუხედავად ამისა, სწავლის შედეგების მიღწევა გამოიყურება რეალისტურად; ისინი გაზომვადია და აღწერენ ცოდნას, უნარებს და დამოკიდებულებას, რომლებსაც იძენენ სტუდენტები პროგრამის დასრულებამდე.

შიდა რეგულირებების თანახმად პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება რეგულარულად. ისინი იქმნება პროგრამის ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით და ზოგადად შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნების თავისებურებებს.

არსებობს სწავლის შედეგების შეფასების განსაზღვრული მექანიზმი. სწავლის შედეგების რეგულარული შეფასება ხდება მუდმივად და გამჭვირვალედ. გამოიყენება შეფასების როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მეთოდები. პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი კარგად იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს. სტუდენტები იღებენ გამოხმაურებას იმაზე, თუ რამდენად მიაღწიეს გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კურიკულუმის რუკა და გეგმა, თუ სად და როგორ შეაფასებენ ისინი პროგრამის სწავლის შედეგებს - წარმოდგენილია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სილაბუსები
- ყველა დაინტერესებულ მხარესთან ინტერვიუების შედეგები
- პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების ოქმები
- ბენჩმარკები

o კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვები (კითხვარები) o ანგარიში პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებზე.
რეკომენდაციები: არ გვაქვს
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არ გვაქვს
საუკეთესო პრაქტიკა: არ ეხება
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში o არ ეხება
შეფასება X მოთხოვნებს შეესაბამება ☐ მეტწილად შესაბ ☐ ნაწილობრივ შ ☐ არ არის შესაბა

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტთან

სტანდარტი	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაშ ი მოთხოვნებთან
საგანმანათლებლ ო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	x			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფენ პროგრამის მიზნებისა და სწავლის დაგეგმილი შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უმაღლეს სასწავლო დაწესებულებას დადგენილი აქვს პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დაშვების მოთხოვნები განსაზღვრული და გასაგებია. ისინი გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია. ეროვნული მოთხოვნები და პროგრამის მახასიათებლები გათვალისწინებულია. აპლიკანტებთან ინტერვიუ უნდა იყოს ფოკუსირებული ჰომოგენური აკადემიური ბექგრაუნდის მქონე სტუდენტთა კონტინგენტის უზრუნველყოფაზე. ოფიციალურ ვებ-საიტზე ჩამოთვლილია ინტერვიუები სპეციალობაში (ბიზნესის ადმინისტრირებაში) დაინტერესებულ სტუდენტთა გვარებით დაშვების მოთხოვნებთან ერთად (https://www.ug.edu.ge/page/full/22). თუმცა, ინტერვიუებზე ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან დაზუსტდა, რომ ეს ინტერვიუები ატარებს ზოგად ხასიათს. ენის ფლობის საჭირო დონე უზრუნველყოფს სტუდენტებს სწავლის წარმატებით დასრულებას. არსებობს განსაზღვრული წესები უცხოელი აპლიკანტებისათვის, რომლებიც ადეკვატურად ითვალისწინებენ ინდივიდუალურ გარემოებებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში; o საგანმანათლებლო პროგრამა o ადმინისტრაციასთან, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგები
რეკომენდაციები: • მისაღებ ინტერვიუზე ყურადღება გაამახვილეთ ჰომოგენური აკადემიური ბექგრაუნდის მქონე სტუდენტთა ჩარიცხვის უზრუნველყოფაზე.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: • განიხილეთ მიღების წინაპირობების შესახებ ინფორმაციის განახლება ვებ-საიტზე ისე, რომ იგი შეესაბამებოდეს პროგრამაზე მიღების მოთხოვნებს.
საუკეთესო პრაქტიკა: არ ეხება
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში o არ ეხება
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ ☐ არ არის შესაბამის

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ს განათლების პროგრამების დაგეგმვის, შედგენისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს

პროგრამაში მიღების წინაპირობებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრულია და ლოგიკური. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფენ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობითი მიმოხილვა და ანალიზი ლოგიკურად დაკავშირებული; კონცენტრაციები პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის დონეს. კურიკულუმი ადეკვატურად ასახავს სასწავლო პროგრამის კვალიფიკაციის მიზნებს. კურსების შინაარსი კარგადაა დაბალანსებული და ორიენტირებული გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევაზე. სფეციალობის სფეროები (48 კრედიტი 120-დან) საშუალებას აძლევს სტყუდენტს შეიძინოს დამატებითი კომპეტენციები და უნარები. პროგრამა სტუდენტებს უქმნის საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი კომპონენტების შერჩევის შესაძლებლობას. ყველა დაინტერესებული მხარე ჩართულია პროგრამის შემდგომ განვითარებაში. უსდ უზრუნველყოფს პროგრამასთან დაკავშირებული ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. მიუხედავად ამისა, არსებობს გასაუმჯობესებელი სფეროები: • ლოგიკური თანამიმდევრობა კურსების: კურსი "სტრატეგიული მენეჯმენტი" შეთავაზებულია მე-2 სემესტრში, ისეთი კურსების წინ როგორიცაა "საზოგადოებასთან ურთიერთობები", "რეკლამა", "ადამიანური რესურსების მენეჯმენტი". ზემოხსენებული კურსების შეთავაზება "სტრატეგიული მენეჯმენტის" წინ იქნებოდა უფრო გონივრული, რადგან ამ კურსების ცოდნა ხელს შეუწყობდა კურსის "სტრატეგიული მენეჯმენტის" უკეთ გააზრებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o საგანმანათლებლო პროგრამა o თვითშეფასების ანგარიში o ადმინისტრაციასთან, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგები o სილაბუსები o ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო ნაშრომის ნიმუშები
რეკომენდაცები. • განიხილეთ ზემოხსენებული კურსების თანამიმდევრობის შეცვლა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არ გვაქვს
საუკეთესო პრაქტიკა: არ ეხება
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში o არ ეხება
შეფასება ☐ შესაბამისობა შია მოთხ

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ ☐ არ არის შესაბამის

2.3 სასწავლო კურსი
➢ თითოეულო სავალდებულო კურსის სტუდენტის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან; ამის გარდა, თითოეული კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსებში ჩამოთვლილი სასწავლო მასალები ეფუძნება დარგში არსებულ ძირითად მიღწევებს და ისინი უზრუნველყოფენ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი 7 (შვიდი) ძირითადი კურსი 15-დან არის სავალდებულო. ისინი შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან. თითოეული კურსის სწავლის შედეგები შეესაბამისობაშია გათვალისწინებული კვალიფიკაციის დონის მოთხოვნებთან. ECTS კრედიტების განაწილება სტანდარტიზებულია, როგორც ეს საერთაშორისოდაა მიღებული. შესაბამისი გათვალისწინებული სწავლის შედეგები ადეკვატურადაა აღწერილი, როგორც ეს დადასტურდა აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან ინტერვიუებში. შეფარდება საკონტაქტო საათებსა და დამოუკიდებელი მუშაობის საათებს შორის არც არგუმენტირებული და არც დამაჯერებელი (1 : 6-7). თუმცა, აღსანიშნავია, რომ სტუდენტებმა ითხოვეს არ გაგვეპროტესტებია. საერთაშორისო შეფარდება არის 1 : 2-3. სავალდებულო ლიტერატურა მითითებულია სილაბუსებში, დამატებითი და დამხმარე სასწავლო მასალები მიეწოდებათ ელექტრონულად აკადემიური პერსონალის მიერ. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი სავალდებულო ლიტერატურა მოძველებულია (ქეისების შესწავლა - 2009წ, ბიზნესის ეთიკა - 2010წ., საერთაშორისო ბიზნესი - 2008, 2010წწ), ამ კურსების სპეციფიკის გამო რეკომენდებულია მათი ლიტერატურის განახლება, რაც ხელს შეუწყობს სწავლის შედეგების უკეთ მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o სილაბუსები; o საგანმანათლებლო პროგრამა o თვითშეფასების ანგარიში; o ადმინისტრაციასთან, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგები;
რეკომენდაციები: • უზრუნველყავით, რომ საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების შეფარდება თითოეულ კურსში იყოს ჯეროვანი. • განიხილეთ ზემოთ მოყვანილ სილაბუსებში გამოყენებული ლიტერატურის გამდიდრება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არ გვაქვს
საუკეთესო პრაქტიკა: არ ეხება
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში o არ ეხება
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვ ☐ მეტწილად შესა X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბ

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტის პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/აკადემიური მოსწრებისა და გადაცემადი უნარ-ჩვევების განვითარებას ან/და მათ ჩართულობას კვლევით პროექტებში, პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტები ითვისებენ მეთოდოლოგიურ კომპეტენციებს და შეუძლიათ შეასრულონ აკადემიური ნაშრომი საჭირო დონეზე. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, პროგრამის მიზანია კრეატიული და დამოუკიდებელი კვლევის უნარების მქონე სპეციალიტების მომზადება ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში, რომლებსაც ექნებათ ბიზნესის მენეჯმენტის პრინციპებისა და თეორიების ღრმა ცოდნა და მენეჯმენტის სხვადასხვა ფუნქციური მიმართულების აქტივობების განხორციელების პრაქტიკული უნარები. სამაგისტრო ნაშრომი ემსახურება კომუნიკაციის, პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარების მიზნებს. თითოეული საგანმანათლებლო კურსი მოიცავს ძირითადი კვლევითი უნარების გამომუშავების კომპონენტს: - კვლევით ნაშრომს. აღნიშნული ნაშრომის ფარგლებში მომზადებული თემა შესაძლებელია სტუდენტმა გამოიყენოს კონფერენციაზე პრეზენტაციისათვის. ექსპერტებმა გადახედეს ზოგიერთ სამაგისტრო ნაშრომს, რომლებიც მომზადებული იყო შესაბამისი დონისათვის ადეკვატურად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o სილაბუსები; o საგანმანათლებლო პროგრამა; o ადმინისტრაციასთან, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგები; o ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო ნაშრომის ნიმუშები
რეკომენდაციები: არ გვაქვს
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არ გვაქვს
საუკეთესო პრაქტიკა: არ ეხება
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

o არ ეხება
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბ ☐ ნაწილობრივ შ ☐ არ არის შესაბამის

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლებისა და სწავლის მეთოდები შეესაბამებიან განათლების დონეს, კურსის შინაარსს, სტუდენტის სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფენ მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის სტრუქტურა ხელს უწყობს კურიკულუმის თანამიმდევრულ განხორციელებას და ეხმარება სტუდენტებს სწავლის შედეგების მიღწევაში. სასწავლო პროგრამის დიდაქტიკური კონცეფცია აღწერილია, დამაჯერებელია და ორიენტირებულია პროგრამის მიზნებზე. იგი იძლევა სწავლებისა და სწავლის სხვადასხვა მეთოდების გამოყენების საშუალებას, ისეთების, როგორიცაა ქეისის შესწავლა. თითოეული სილაბუსის აღწერა მოიცავს ზოგადად ხელმისაწვდომი დიდაქტიკური მეთოდების ჩამონათვალს, მაგრამ არ აზუსტებს თუ რომელი მათგანია კონკრეტულად გამოყენებული. უცხოელი სტუდენტების კულტურულ განსხვავებებს ითვალისწინებს ყველა მონაწილე მხარე (ადმინისტრაცია, პედაგოგები, სტუდენტები, დამსაქმებლები). სწავლებისა და სწავლის მეთოდები შეესაბამება კურსების შინაარსსა და სწავლის შედეგებს, თუმცა, შთაბეჭდილება რჩება, რომ სილაბუსები აღწერილია სტანდარტიზებული შაბლონის მიხედვით, რომელიც მოიცავს თხუთმეტამდე სწავლების მეთოდს. საკონტაქტო საათების რაოდენობასთან დაკავშირებით სწავლების მეთოდების შესაბამისობა შესაძლოა გადაისინჯოს შესაბამისი ინდივიდუალიზაციის გასაძლიერებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o სილაბუსები; o თვითშეფასების ანგარიში; o საგანმანათლებლო პროგრამა; o ადმინისტრაციასთან, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგები;
რეკომენდაციები: • გადახედეთ სწავლების გამოყენებული მეთოდების შესაბამისობას სწავლის განზრახულ შედეგებთან მიმართებაში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არ გვაქვს
საუკეთესო პრაქტიკა: არ ეხება
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში o არ ეხება
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვ X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ ☐ არარის შესაბამის

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტის შეფასება ხდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. იგი გამჭვირვალეა და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი არსებობს იურიდიულად სავალდებულო სწავლისა და გამოცდის რეგულაციები, რომლებიც მოიცავენ სილაბუსებში აღწერილ ყველა აუცილებელ წესსა და პროცედურას. შეფასება გამჭვირვალეა და ხორციელდება არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. შეფასების კომპონენტები და მეთოდები შეესაბამება კურსსა და სწავლის შედეგებს. შეფასების მეთოდები სამართლიანია, გამოქვეყნებულია და წინასწარაა ცნობილი სტუდენტებისათვის. სტუდენტები იღებენ გამოხმაურებას მათ შეფასებაზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე, იღებენ ინფორმაციას თუ რა მოცულობისთვის აქვთ მიღწეული სწავლის შედეგებში. დაწესებულია პროცედურები თუ სტუდენტებს სურთ მიღებული ნიშნების გასაჩივრება. შეფასების შედეგები ანალიზდება და გამოიყენება სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o სილაბუსები; o თვითშეფასების ანგარიში; o საგანმანათლებლო პროგრამა; o ადმინისტრაციასთან, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგები; o სტუდენტთა საქმიანობის შეფასების ანგარიში. o ანგარიში პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებზე.
რეკომენდაციები: არ გვაქვს
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არ გვაქვს
საუკეთესო პრაქტიკა: არ ეხება
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

o არ ეხება
შეფასება X მოთხოვნებს შეესაბამება ☐ მეტწილად შესაბამისობაშია ☐ ნაწილობრივ შ ☐ არ არის შესაბამის

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა.		X		

3. სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ქმნის სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოს სტუდენტებისთვის შესაბამისი მომსახურების შეთავაზებით; პროგრამის პერსონალი სტუდენტებს აცნობს დასახელებულ მომსახურებებს, აწყობს სხვადასხვა ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1. სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისები:
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კონსულტაციის მიღებისა და აქტიური კომუნიკაციის შესაძლებლობები უზრუნველყოფილია და ინტენსიურად გამოიყენება სტუდენტების სასარგებლოდ. სტუდენტებს შეიძლიათ მიიღონ კონსულტაცია, ისევე, როგორც მიმართონ უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალს ნებისმიერი კითხვით ელ-ფოსტისა და "My UG"-ს მეშვეობით. "My UG" სისტემის გამოყენების სერვისი საშუალებას აძლევს სტუდენტებს სწრაფად და მარტივად წარადგინონ განაცხადი საჭირო დოკუმენტების მიღებაზე ან მიმართონ საგანმანათლებლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურს, IT დეპარტამენტს, საფინანსო დეპარტამენტს, სოციალური საკითხების კომისიას და სხვ. სტუდენტებმა დაადასტურეს რომ მათ მიერ გამოყენებული იქნა საჩივრის/მოთხოვნის წარდგენის სისტემა რასაც მოჰყვა შესაბამისი და სამართლიანი გადაწყვეტიბები დაწესებულების მიერ. სტუდენტები სავსებით კმაყოფილნი არიან მიმდინარე პროგრამით და მათთან ინდივიდუალური მუშაობით, მცირერიცხოვანი ჯგუფებით და შესაბამისი თანაფარდობით სტუდენტებსა და პედაგოგებს, ისევე როგორც ადმინისტრაციულ პერსონალს შორის. სტუდენტებს შეთავაზებული აქვთ მონაწილეობა სხვადასხვა პროექტებსა და აქტივიბებში, ისევე, როგორც უსდ-ს მიერ ორგანიზებულ კონფერენციებში. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან სხვადასხვა ადგილობრივი ღონისძიებების თაობაზე. ადგილზე ვიზიტისას, ასევე, დადასტურდა, რომ უნივერსიტეტი ხელს უწყობს ექსტრაკურიკულურ აქტივობებს, რაც დადასტურდა სტუდენტების მიერ. სტუდენტებისათვის შექმნილია სპეციალური მხარდაჭერის სერვისები, კერძოდ საგრეო ოფისი, კარიერული მომსახურების ოფისი, კურსდამთავრებულთ აასოციაცია, რომელიც ეხმარებათ პროფესიულ ორიენტაციაში და სხვა ინფორმაციებით დასაქმებასთან და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით. სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს უსდ იყენებს სტუდენტთა მხარდაჭერის მომსახურებების გასაუმჯობესებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში; o თსსუ-ს ვებ-გვერდი; o სტუდენტური სისტემა "ჩემი UG"; o ადმინისტრაციასთან, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების შედეგები;
რეკომენდაცები: არ გვაქვს

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: გაზარდეთ სტუდენტთა ჩართულობა პროგრამის განვითარებაში;

საუკეთესო პრაქტიკა: არ ეხება

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

- არ ეხება

შეფასება

X მოთხოვნებს შეესაბამება

☐ მეტწილად შესაბ

☐ ნაწილობრივ შ

☐ არ არის შესაბა

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებს ჰყავთ ნაშრომის კვალიფიციური ხელმძღვანელები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობითი შეჯამება და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაში სამაგისტრო ნაშრომი ხორციელდება როგორც კვლევითი კომპონენტი. უნივერსიტეტის მხოლოდ აკადემიური და მოწვეული პერსონალია უფლებამოსილი, რომ უხელმძღვანელოს სტუდენტის საკვალიფიკაციო ნაშრომის შესრულებას. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა რეგულირდება "ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის" დებულებით.

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად და ინტერვიუების შედეგების შეფასებით დგინდება, რომ სტუდენტს აქვს შესაძლებლობა თვითონ აირჩიოს ნაშრომის კვალიფიცირებული ხელმძღვანელი. ექსპერტებმა გადახედეს ზოგიერთ სამაგისტრო ნაშრომს, რომლებიც მომზადებული იყო შესაბამისი დონისათვის ადეკვატურად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ადმინისტრაციასთან, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების შედეგები;
- საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების დებულება;

რეკომენდაციები: არ გვაქვს

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არ გვაქვს

საუკეთესო პრაქტიკა: არ ეხება

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

არ ეხება

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐	ნაწილობრივ შ
☐	არ არის შესაბა

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

პროგრამის შრომითი, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფენ პროგრამის მდგრადობას, მის ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და დასახული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამის პერსონალი შედგება კვალიფიცირებული პირებისგან, რომლებსაც გააჩნიათ აუცილებელი კომპეტენციები, რათა სტუდენტებს დაეხმარონ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში;
- პროგრამის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფენ საგანმანათლებლო პროცესის მდგრად წარმართვას და აგრეთვე, მათი კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მიკუთვნებული მოვალეობების სათანადო შესრულებას. ბალანსი აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, რომელიც საჭიროა პროგრამის შემუშავებისთვის. ის პირადად არის ჩართული პროგრამის განხორციელების პროცესში;
- პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილები არიან შესაბამისი კომპეტენციის მქონე სათანადო რაოდენობის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაზე სულ 21 პედაგოგია, რომელთაგან 9 არის მოწვეული პერსონალი. ის პედაგოგები, რომელთაც ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა ვიზიტისას, არიან ძალიან მონდომებულნი და პერსონალურად ჩართულნი პროგრამის შემდგომ გაუმჯობესებაში სხვადასხვა აქტივობების მეშვეობით. ბალანსი აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის (12/9) და თანაფარდობა ხელმძღვანელებისა და მაგისტრანტთა რაოდენობას შორის (13/47 თვითშეფასების ანგარიშის თანახმად) უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

სხვა პროგრამებში და სხვა ადგილებში მოწვეულ პედაგოგთა დატვირთვის გათვალისწინებითაც კი, პედაგოგთა სტრუქტურა და რაოდენობა შეესაბამება პროგრამის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს გათვალისწინებული საკვალიფიკაციო მიზნების მიღწევას სტუდენტების მიერ. სწავლების დატვირთვის გაზრდა, როგორც ეს რეკომენდებულია თავში 2.3, ხელს შეუწყობს გათვალისწინებული სწავლის შედეგებით უკეთ მიღწევას. სასწავლო პროგრამა მიმდინარეობს 2 წლის განმავლობაში, რაც დასტურდება კურსდამთავრებულთა მიერ, თუმცა საკონტაქტო საათების რაოდენობა საკმაოდ დაბალია.

პედაგოგთა შემადგენლობა გარანტიას იძლევა, რომ როგორც აკადემიური სტანდარტების, ისე პროფესიული პრაქტიკის მოთხოვნები სრულად კმაყოფილდება. პედაგოგთა რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტთა ამჟამად არსებული რაოდენობისა - 34 უცხოელი სტუდენტი (თვითშეფასების ანგარიშის თანახმად).

პედაგოგთა აკადემიური კვალიფიკაცია შეესაბამება სასწავლო პროგრამის მოთხოვნებსა და მიზნებს. უსდ ამოწმებს პერსონალის კვალიფიკაციას დადგენილი პროცედურის თანახმად, რომელიც შეესაბამება მოქმედ რეგულაციებს. პედაგოგთა პედაგოგიური და აკადემიური კვალიფიკაცია შეესაბამება სასწავლო პროგრამის მოთხოვნებსა და მიზნებს.

პედაგოგები თანამშრომლობენ ერთმანეთთან კურსების მიმართვის მიზნით კვალიფიკაციის საერთო მიზნებისაკენ.

სტუდენტთა დახმარება წარმოადგენს პედაგოგთა საქმიანობის განუყოფელ ნაწილს. იგი მიმდინარეობს რეგულარულად და ემსახურება სტუდენტთა წარმატებულ სწავლას. პედაგოგები ხელმისაწვდომები არიან სტუდენტთათვის ნებისმიერ მათთვის საჭირო დროს.

სტუდენტები, რომელთაც შეხვდა ექსპერტთა ჯგუფი ადგილზე ვიზიტისას, "სავსებით კმაყოფილნი" არიან მათთვის გაწეული დახმარებით. პედაგოგებს და სტუდენტებს დახმარებას უწევს ადმინისტრაცია სასწავლო პროგრამის ორგანიზების საკითხებში. ადმინისტრაციული პერსონალი საკმარისი რაოდენობითაა. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ ფუნქციებს. დეკანი და პროგრამის ხელმძღვანელი კოორდინირებას უწევენ პროგრამაში ჩართული ყველა პირის საქმიანობას და უზრუნველყოფენ პროგრამის შეუფერხებელ მსვლელობას. ისინი ფლობენ პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ცოდნასა და გამოცდილებას. ადგილზე ვიზიტისასდადგინდა, რომ ორივე მათგანი პიროვნულად ღრმად არიან ჩართულნი პროგრამის შეფასებასა და განვითარებაში, პროგრამის განხორციელებაში, სტუდენტთა კონსულტირებასა და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში; o ადმინისტრაციასთან, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების შედეგები; o აკადემიური პერსონალის CV-ები.
რეკომენდაციები: არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არ გვაქვს
საუკეთესო პრაქტიკა: არ ეხება
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში o არ ეხება
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბ ☐ ნაწილობრივ შ ☐ არ არის შესაბა

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ უსდ ახორციელებს პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებას და რეგულარულად აანალიზებს შეფასების შედეგებს; ➢ უსდ ხელს უწყობს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებას. ამის გარდა, ის ხელს უწობს მათ სამეცნიერო და კვლევით მუშაობას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ ამოწმებს პედაგოგთა კვალიფიკაციას დადგენილი პროცედურის თანახმად. უსდ აქტიურად ატარებს პროგრამის პერსონალის შეფასებას მათი კმაყოფილების კვლევის შედეგების მიხედვით. შეფასების შედეგები გამოიყენება აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით, მაგალითად, სპეციალური ზომების მიღებით და უცხო ენის ან IT კურსების შეთავაზებით. უფრო მეტიც, უსდ ხელს უწყობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებას კონფერენციებსა და კვლევით პროექტებში მონაწილეობის მისაღებად საჭირო რესურსების უზრუნველყოფით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- კითხვარები
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები: არ გვაქვს

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არ გვაქვს

საუკეთესო პრაქტიკა: არ ეხება

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

- არ ეხება

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბ

☐ ნაწილობრივ შ

☐ არ არის შესაბა

4.3. მატერიალური რესურსები

პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელია ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური მოწყობილობით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ლიტერატურისა და ჟურნალების, ისევე, როგორც ციფრული მედიის (მაგ. ელექტრონული მედია, მონაცემთა ბაზები, როგორიცაა Hein Online, ISTOR, EBSCO, Cambridge journals) ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია. უშუალოდ სასწავლო პროგრამისათვის აუცილებელი ლიტერატურა ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში და თანამედროვეა. ბიბლიოთეკის რესურსები ხარისხობრივად და რაოდენობრივად, სტუდენტთა ხელმისაწვდომობა სპეციალურ ლიტერატურასთან, მათ შორის ონლაინ წვდომა, შეესაბამება სასწავლო პროგრამის მოთხოვნებს. ბიბლიოთეკის სამუშაო საათები მნიშვნელოვნად ითვალისწინებს სტუდენტთა საჭიროებებს. სტუდენტები

ინფორმირებულნი არიან არსებული რესურსების თაობაზე და იციან თუ როგორ მოიხმარონ ისინი. საკლასო ოთახების რაოდენობა, ხარისხი, მედია და IT სიმძლავრეები შეესაბამება პროგრამისათვის საჭირო სტანდარტებს, სხვა პროგრამებისათვის საჭირო რესურსების გათვალისწინებითაც კი. ოთახები სათანადოდაა აღჭურვილი სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის და უზრუნველყოფს მათთვის ხელმისაწვდომობას ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე. ინტერნეტთან წვდომა ლეპტოპებით უკაბელო LAN-ის მეშვეობით უფასოა. შენობაში ოთახების საკმაო რაოდენობაა ჯგუფებისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში; o ბიბლიოთეკა, მატერიალური და ტექნიკური რესურსები და აღჭურვილობა o ბიბლიოთეკარებთან, ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგები
რეკომენდაციები: არ გვაქვს
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არ გვაქვს
საუკეთესო პრაქტიკა: არ ეხება
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში o არ ეხება
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბ ☐ ნაწილობრივ შ ☐ არ არის შესაბამის

4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების განაწილება ეკონომიკურად მისაღებია და ის შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ანგარიშის თანახმად პროგრამა მდგრადია. აღნიშნულია, რომ პროგრამა სრულად ფარავს ხარჯებს, აკმაყოფილებს უნივერსიტეტს მოგებიდან მიღებული პროცენტული წილით და 86%-ს ტოვებს მოგებად (სკოლის ბიუჯეტში). ასევე, პროგრამა კვლავ მომგებიანია 3 სტუდენტის შემთხვევაში (ნულოვანი მოგება). სასწავლო პროგრამა დაფინანსებულია აკრედიტაციის მთელი პერიოდისათვის ისე, რომ სტუდენტები ნამდვილად შეძლებენ სწავლის დასრულებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში; o ბიუჯეტი o ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან, ბიბლიოთეკარებთან ინტერვიუების შედეგები
რეკომენდაციები: არ გვაქვს
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არ გვაქვს
საუკეთესო პრაქტიკა: არ ეხება
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში არ ეხება
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბ ☐ ნაწილობრივ შ ☐ არ არის შესაბამის

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის მომსახურებებს და აგრეთვე, პერიოდულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგსა და პროგრამის განხილვას. შესაბამისი მონაცემები გროვდება, ანალიზდება და რეგულარულად გამოიყენება ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად და პროგრამის შესამუშავებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამის პერსონალი თანამშრომლობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურ(ებთ)თან, პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დაგეგმვისას, შეფასების ინსტრუმენტების შექმნისას და

შეფასების შედეგების გაანალიზებისას. პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს პროგრამის დასახვეწად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობითი შეჯამება და ანალიზი ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარების პროცედურა, რომელიც სისტემატური მონიტორინგით განავითარებს პროგრამის ხარისხს, მისი შინაარსის, პროცესების და შედეგების კუთხით, დადგენილია, აღწერილია და გამოყენებულია დეტალურად. პასუხისმგებლობა მკაფიოდაა განსაზღვრული. PDCA ციკლი წარმატებითაა დანერგილი. იგი განიხილავს შეფასების შედეგებს და აანალიზებს სტუდენტთა შეფასებას და კურსდამთავრებულთა დასაქმებას. თვითშეფასების ანგარიში მომზადდა აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის აქტიური ჩართულობით. შიდა კომუნიკაციები და თანამშრომლობა ყველა დაინტერესებულ მხარეს შორის უზრუნველყოფილია. ხარისხის უზრუნველყოფის შესაბამისი ინსტრუმენტები, როგორებიცაა შეფასებისა და ანალიზის საშუალებები (მაგ. კითხვარები სტუდენტებისათვის, აკადემიური პერსონალისათვის) შემუშავებულია და გამოიყენება. ხარისხის კონტროლი ხორციელდება რეგულარულად და კოორდინირებულია გაწერილი პროცედურის მიხედვით; შედეგები ეცნობება დაინტერესებულ მხარეებს და უზრუნველყოფს ხარისხის განვითარების პროცესს. სტუდენტები არაფორმალურად მეტ-ნაკლებად იღებენ ინფორმაციას მათი რეკომენდაციების შედეგების შესახებ. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის პერსონალთან ერთად, მუდმივად მუშაობს გამოვლენილი სუსტი მხარეების აღმოფხვრაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში o ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ანგარიშის ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან ინტერვიუების შედეგები o ოქმები o გამოკითხვის შედეგები
რეკომენდაციები: მოახდინეთ სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის გამოხმაურებების ფორმალიზება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არ გვაქვს
საუკეთესო პრაქტიკა: არ ეხება
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში არ ეხება
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბ ☐ ნაწილობრივ შ

☐ არ არის შესაბამის

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობითი შეჯამება და ანალიზი სასწავლო პროგრამის შეფასება ხორციელდება კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა და საჭიროებისას მესამე მხარეების (მაგ. EQE; CEEMAN) გამოკითხვების მეშვეობით და შედეგები ფორმდება. გარე შეფასება კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების მიერ ხორციელდება რეგულარულად და აღწერილი პროცედურის შესაბამისად; შედეგები ეცნობება დაინტერესებულ მხარეებს და უზრუნველყოფს ხარისხის განვითარების პროცესს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში o კითხვარები o დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან, ხარისხის უზრუნველყოფია ერთეულთან ინტერვიუების შედეგები
რეკომენდაციები: არ გვაქვს
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არ გვაქვს
საუკეთესო პრაქტიკა: არ ეხება
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში არ ეხება
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბ ☐ ნაწილობრივ შ ☐ არ არის შესაბამის

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული განხილვა ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და სხვა მონაწილე მხარეების ჩართულობით, ინფორმაციის სისტემატიურად შეგროვებითა და გაანალიზებით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის დასახვეწად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობითი შეჯამება და ანალიზი პროგრამა მოდიფიცირდება/ადაპტირდება შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე, რადგან პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული მიმოხილვა ტარდება რეგულარულად და მოიცავს ყველა დაინტერესებულ მხარეს. სტუდენტები და აკადემიური პერსონალი შეფასებას უკეთებს კურსებს რეგულარულად, კურსის დასრულებისას. პროგრამა შედარდა საერთაშორისო ცნობილი უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებს. განხორციელდა შესაბამისი ადაპტირება იმის უზრუნველსაყოფად, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს თანამედროვე მოთხოვნები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში; o კითხვარები o აკადემიურ პერსონალთან, ადმინისტრაციასთან, სტუდენტებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ინტერვიუების შედეგები o ოქმები
რეკომენდაციები: არ გვაქვს
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არ გვაქვს
საუკეთესო პრაქტიკა: არ ეხება
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში არ ეხება
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბ ☐ ნაწილობრივ შ ☐ არ არის შესაბ

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: საქართველოს უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება

ანგარიშის გვერდების რაოდენობა: 26

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობა ში მოთხოვნებთა ნ
1. პროგრამების მიზნები მკაფიოდაა განსაზღვრული და მიღწევადი; ისინი შეესაბამება უსდ-ს მისიას და ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

სახელი, გვარი, ხელმოწერა



დოქტორი ჰაინც-ულრიხ შმიდტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ი

სოფიო ხუნდაძე, დოქტორი

ანა მიხელიძე, სტუდენტი